პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ოთხშაბათი 21 ივლისი № 169 (16599) ფასი 2 კაპ. 1976

სიტყვებს, რომლებიც გვრაზმავენ

იდეოლოგიური მუშაობის სრულ ყოფასთან ერთად უფრო გაღვივრით უნდა აღმოიფხვრას ამ საქმეში არსებული ფორმალიზმი, ცხოვრებისაგან მოწყვეტის ელემენტები და სხვა ნაკლოვანებები, გეთანხმებიც საჭიროა აქტიური ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზეგავლენის წინააღმდეგ, კერძომესაკუთრული ტენდენციებისა — და აგრეთვე შეგნებასა და ქცევაში წარსულის სხვა გადმონაშთების წინააღმდეგ. უნდა ამაღლდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობა, განმტკიცდეს მეცნიერებისა და ცხოვრების კავშირი, დროული და პრინციპული შეფასება მიეცეს იდეურ შეცდომებსა და ხარვეზებს სამეცნიერო შრომებში, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებიდან

ქურნალის აქტიური პოზიცია

ჟურნალ „ეკონომიკა და ორგანიზაცია“-ს ეკონომიკურ-ეკონომეტრიკული ინსტიტუტი ეკონომიკურ-ეკონომეტრიკული ინსტიტუტი

ილიონნობით საბჭოთა ადამიანი გაზეთების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალების გარდა სპეციალურ პერიოდულ გამოცემებსაც იღებს. ეს გასაგებია: ჩვენი სახალხო მეურნეობის მასშტაბის ზრდასთან, თავიანთი კოლექტივების, საზოგადოების საქმეთა მართვაში მშრომელთა მონაწილეობის განუხრელ გაფართოებასთან ერთად სულ უფრო მაღლდება მოთხოვნები თვითეული მუშაკის პროფესიული ინფორმირების და კომპეტენტურობისადმი. დარგობრივი პრესა ბევრ რამეს აკეთებს ამისათვის, რომ მოწინავე გამოცდილება და ცოდნა ხელმისაწვდომი იყოს ყველა მშრომელისათვის, უკეთ ემსახურებოდეს საქმის ინტერესებს. ბევრ საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო ჟურნალს დამსახურებულად აქვს მოპოვებული მკითხველის აღიარება. ისინი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიური პოლიტიკის უნარიანი პროპაგანდით, წარმოების ეფექტიანობის, მუშაობის ხარისხის ამაღლების გზებისა და საშუალებების ნათელი გაგებით გამოირჩევა. ამ გამოცემებზე შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წინა ხაზზე, საყოველთაო-ხალხო სოციალისტური შეჯიბრების შუაგულშია, მეცნიერებისა და პრაქტიკის უმთავრეს მიჯნებს მოიცავს.

წარმოების განვითარების, დაგეგმვისა და მართვის აქტუალური პრობლემებისადმი დიდ ყურადღებას იჩენენ ჟურნალები „ნეფტიანიკი“, „ბრაჟდანსკაია ავიაცია“, „სტანდარტი ი კაჩესტვო“, „უგოლი“, „სტროიტელი“, „კომერჩესკი ვესტნიკი“, „სელსკი მეხანიზატორი“, „იზობრეტატელ ი რაციონალიზატორი“ და სხვები. ისინი გვერდს არ უვლიან ნაკლოვანებებს, პარტიული პრინციპულობით ილაშქრებენ ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც აფერხებს ახლის, პროგრესულის გავრცელებას, ცდილობენ შეუწყონ ხელი მასების შეზოგმედებითი ინიციატივის აღმავლობას. ამ გამოცემებში გამოქვეყნებულ ბევრ მასალაზე მოდის მკითხველთა გაოხტმაურებები, რედაქციები აქტიურ პოზიციას იკავებენ, როცა საქმე სიახლისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას ეხება.

სოციალისტური შეჯიბრება უდიდესი აღმშენებელი და დამრაზმველი ძალა, ეფექტიანი მეურნეობრიობისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვის სკოლა გახდა. საწარმოო ჟურნალებისათვის ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა, რომლის გაშუქება შეჯიბრების მექანიზმის, პატრიოტული თაოსნობების არსის ღრმად ჩვენებას, წარმოების სფეროში მიმდინარე ახალი პროცესების ყოველმხრივ ანალიზსა და მეცნიერულ განზოგადებას მოითხოვს. ეკონომიური მშენებლობის დარგში რედაქციებს შემოქმედებითი ძიებისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს პარტიულ გადაწყვეტილებებს ძირეულ ნახალხო-სამეურნეო საკითხებზე. დარგობრივ პრესას მთლიანად ეხება ბევრი დიდმნიშვნელოვანი მეთოდება, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესახრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, კერძოდ მოთხოვნა, რომ ავამაღლოთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობა, განვამტკიცოთ მეცნიერების კავშირი ცხოვრებასთან, დროული და პრინციპული შეფასება მივცეთ მეცნიერულ შრომებში დაშვებულ შეცდომებსა და ხარვეზებს.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველა საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გამოცემა თავის საზოგადოებრივ მოწოდებას, მკითხველთა მოლოდინს ვერ ამართლებს. ჟურნალ „პრომიშლენოე სტროიტელსტვოში“, მაგალითად, იშვიათად იბეჭდება მასალები, რომლებშიც მწვავედ და კვალიფიციურად იყოს გამოვლენილი წარმოების ზრდის რეზერვები, კაპიტალურ მშენებლობაში ხარვეზების მიზეზები, ზერელედ შუქდება სოციალისტური შეჯიბრების თემაც. დარგში საქმის მდგომარეობასთან დაკავშირებულ პრობლემებს პრაქტიკულად გვერდს უვლის ჟურნალი „ბუმაჟნაია პრომიშლენოსტი“. ზოგიერთ პერიოდულ გამოცემაში, მაგალითად, „ენერგეტიკაში“, „მიდროლიზნაია ი ლესოხიმიჩესკაია პრომიშლენოსტში“ ავტორთა წრე მეტად ვიწროა, მათ ფურცლებს ხშირად შემთხვევითი და ზერელე მასალები ავსებენ. პასიური ჟვრეტითის პოზიციას ამჟღავნებენ ჟურნალების — „ტექნიკა ვ სელსკომ ხოზიაისტვე“, „ვესტნიკ მაშინოსტროენია“, „კოუეენენო-ობუვნაია პრომიშლენოსტი“, „სელსკოე ხოზიაისტვო როსიი“ და ზოგიერთი სხვა რედაქციები. ყოველივე ეს, ბუნებრივია, უარყოფითს გავლენას ახდენს დარგების განვითარების მთავარი საკითხების გაშუქებაზე, ხელს უშლის, რომ ჟურნალები ნამდვილად მებრძოლ ბეჭდვით ორგანოებად გადაიქცნენ.

დარგობრივი გამოცემები წარმოადგენენ სულ სხვადასხვა სფეროს: ეკონომიკას, მეცნიერებას, დაგეგმვასა და მართვას, ტექნიკასა და წარმოებას. მაგრამ საერთო, ერთიანი რჩება მოთხოვნა — საქმე აწარმოონ მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და პროფესიულ დონეზე, გამოიყენონ პუბლიცისტიკური საშუალებების მთელი არსენალი. იმ ფორმებს შორის, რომლებსაც ჯერჯერობით იშვიათად იყენებენ რედაქციები, თუმცა მათ შეეძლოთ ხელი შეეწყოთ ჟურნალების შინაარსის გაუმჯობესებისათვის, — არის მუშაობა, სპეციალისტთა და მეცნიერთა შეხვედრები „მრგვალ მაგიდასთან“, დისკუსიები წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების დიდ პრობლემებზე, მკითხველთა წერილები და მათი კომენტარები, თემატიკური მიმოხილვები, ნარკვევები და ჩანახატები შრომის გმირებზე, ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ობიექტების საშეფო ხაგუშგოების მასალები და ბევრი სხვა. უნდა შევიანიოდეთ პუბლიცისტიკის ყველა ყანრით, პროპაგანდისტული და მასობრივი მუშაობის ყველა ფორმით, რათა უზრუნველვყოთ გამოსვლების მაღალი ქმედითობა ჟურნალების მუშაობის მთავარი მიმართულებებით.

რედაქციებმა, აგრეთვე სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გამოცემები ეკუთვნით, მათმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ჟურადღება უნდა დაუთმონ ჟურნალების საბეჭდი ფართობის უფრო ეკონომიურ გამოყენებას, გამოშვების ვადების შემცირებას, პოლიგრაფიული შესრულების გაუმჯობესებას. მეტად საჭიროა მხარი დავუჭიროთ სარედაქციო კოლექტივების ინიციატივას, სისტემატურად და ოპერატიულად უზრუნველვყოთ ისინი საჭირო ინფორმაციით, მეტად ვიზრუნოთ კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის. სწორად იქცევიან სამინისტროები, რომლებიც განიხილავენ ჟურნალების მუშაობას კოლეგიების სხდომებზე, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ყველაზე მნიშვნელოვანი გამოსვლების შესაბამისად, დღენიადაგ ზრუნავენ რედაქციების საჭიროებებისათვის.

ყოველი გამოცემის ავტორიტეტი და პოპულარობა, რომელ უწყებასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია შინაარსის აქტუალობასა და სიღრმეზე, არგუმენტაციის სიზუსტეზე, პუბლიცისტური აზრის სიმწიფეზე. სამეცნიერო-საწარმოო ჟურნალებმა, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საბჭოთა პრესის სისტემაში, საგრძნობი წვლილი უნდა შეტანონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის გეგმების რეალიზაციაში, ჩვენი სამშობლოს მშრომელთა საზოგადოებრივი აქტივობის შემდგომ განვითარებაში.

წიგნი ერთობლივი ფრენის შესახებ

კაზობრიობის ისტორიაში საბჭოთა და ამერიკული კოსმოსური ხომალდების პირველი ერთობლივი პილოტირებული ფრენის წლისთავისათვის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა წიგნი „სოიუზი“ და „აპოლონი“. საბჭოთა მეცნიერები, ინჟინრები და კოსმონავტები ამერიკელ სპეციალისტებთან ერთობლივი შუამაობის მონაწილეები გვიამბობენ, თუ როგორ შზადდებოდა და განხორციელდა პირველი საერთაშორისო კოსმოსური ფრენა. წიგნი მასობრივი ტირაჟით გამოვიდა.

(საკდესი).

ჟეათე-საპრისსის, ეფექტიანობის-ხუთწლედი

ხუთწლედი — ოთხ წელიწადში

რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობამ წარმოების ყოველ უბანზე სოციალისტური დისციპლინის დამყარების შესახებ საწარმოო კოლექტივებიის ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ამ საყოველთაო ლაშქრობაში ჩაებნენ მარელისელი მეავეჯეებიც.

ჩვენ დავგმეთ ჩამორჩენილობა და სიზარმაცე, კოლექტიური პასუხისმგებლობა ვიკისრეთ ჩამორჩენილთა შრომაში დასაწინაურებლად.

ჩვენი საწარმო ძირითადად ახალგაზრდულია. ამიტომ კომკავშირელებისაგან შეიქმნა სამი ბრიგადა, რომლებიც ხუთწლიანი დავალების 4,5 წელიწადში შესრულებისათვის იბრძვიან. ერთ-ერთმა კოლექტივმა კი ერთ ხუთწლედში ორი ხუთწლედის შესრულებაც იკისრა.

სიტყვის საქმით ეუპასუხებთ. მტკიცე დისციპლინას დავამყარებთ, მოცდენებს მინიმუმამდე შევამცირებთ, მომავლავ პროფესიებსაც დავეუფლებთო, დაუცხრომლად ვიბრძოლებთ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, — ასეთია ჩვენი გადწყვეტილება.

ნ. შველიძე,
მარელიხის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მედალოზე.

ახალგაზრდები მინდვრად

აფხაზეთის სამი ათასზე მეტმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა მიიღო მონაწილეობა საკვების დამზადების კომკავშირულ შაბათობაში, რომელიც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მოეწყო. მათ ათობით ტონა საკვები — თივა და სენაჟი დაამზადეს.

შაბათობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „ეხტონკას“ ახალგაზრდობამ. კომკავშირელებმა ათ ტონაზე მეტი თივა დაამზადეს, მიიტანეს კოლმეურნეობის ფერმაში და დაზვინეს. მათ ვალდებულება იკისრეს, რომ წლეულს თავიანთი ძალებით დამატებით დაამზადებენ კიდევ ათეულ ტონამდე საკვებს. სურათზე: „კოლმეურნეობა „ეხტონკას“ ახალგაზრდობა აგროვებს თივას.

ი. ჰოხონელიძის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

კომპაინერთა შეჯიბრება

19 ივლისს...

ᲐᲮᲛᲔᲗᲐ

მელიტონ მურთაზაშვილმა ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობაში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი 13 ჰექტარი ზიდო 8 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე საშუალოდ 33,4 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ᲣᲕᲐᲠᲔᲚᲘ

თარიმან ნაცვლიშვილმა ჭიკანის კოლმეურნეობაში პიტეულის მოსავალი 10 ჰექტარი ზიდო 8 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე საშუალოდ 22 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ᲙᲐᲡᲞᲘ

ოთარ გეჯაძემ თეძამის საბჭოთა მეურნეობაში პიტეული 8 ჰექტარი მომკა და ჰექტარზე საშუალოდ 35 ცენტნერი მარცვლეული გალეწა.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ

შალვა პაპაშვილმა ლოდის საბჭოთა მეურნეობაში პიტეული 8 ჰექტარი მომკა და ჰექტარზე საშუალოდ 32 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲒᲬᲕᲔᲜᲘᲗ, ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲒᲝ!

რატომ იკლო კრეფის ტემპმა

ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა ივნისში დაძაბულად იშრომეს და შეძლეს ჩამორჩენის გამოსწორება. მაგრამ ივლისში არახელსაყრელმა ამინდმა და თვით ჩაის კრეფის ტემპის შენელებამ მეტად არასახარბიელო შედეგები გვიჩვენა. თუ შარშან 19 ივლისისათვის სულ მოკრეფილი იყო 241.669 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, წლეულს ამავე პერიოდში 20.891 ტონით ნაკლები მოიკრიფა.

მეჩაიეობის წამყვანი რაიონები საგრძნობლად ჩამორჩნენ შარშანდელ დონეს. მახარაძის რაიონში მოკრეფილია 38.984 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ შარშანდელთან შედარებით 3.675 ტონით ნაკლები. ქობულეთელების დანაკლისი 3.162 ტონას შეადგენს, ზუგდიდელებისა — 2.688 ტონას, წალენჯიხელებისა — 3.164 ტონას, გალელებისა — 1.404 ტონას, ოჩამჩირელებისა — 1.134 ტონას, ტყიბულელებისა — 1.174 ტონას.

შარშანდელ დონეს ჩამორჩნენ აგრეთვე ლანჩხუთის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ხობის, წყალტუბოს, გუდაუთის, ხელვაჩაურის, სამტრედიის რაიონების მეჩაიეები.

ზოგჯერ, აკაიე ამბობენ, რომ ჩაის ფოთოლი მაინც მოიკრიფებოო. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ჩვენ უნდა ვკრიფოთ მხოლოდ ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. კრეფის საუკეთესო აგროტექნიკური ვადები კი ხელიდან გვეცლება. იმ იმედით, რომ აგვისტოში კარგი პირობები იქნება კრეფისათვის, შორს ვერ წავალთ. ოღლი საქმე როდია დარჩენილ დროში ვალდებულების შესასრულებლად 115 ათასი ტონა ჩაის მოკრეფა!

ამას სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ მეჩაიეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, სპეციალისტები. **სანამ გვიან არ არის, ამთავითვე ენერგიულად ვიმოქმედოთ ჩაის კრეფაში არსებული ჩამორჩენის გამოსწორებისათვის.**

წლიური გეგმა შეასრულეს

ჩხოროწყუს რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა გაანაღდეს. ნაცვლად 950 ცენტნერისა დამზადებულია 1.370 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

განსაკუთრებით თავი ისახელეს ღუნიჭინის კიროვის სახელობის, ჩხოროწყუს ლენინის სახელობის, კირცხის კოლმეურნეობებმა, ჭოლა ნაკიანის ტუნგის საბჭოთა მეურნეობის მებაბრეშუმეებმა.

სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვა გრძელდება — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის მეორე მდივანმა ა. ჩიქოვანმა.

გალის რაიონის მშრომელებმა პირობა გაანაღდეს. სახელმწიფოს მიეყიდა 305 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 300 ცენტნერისა.

სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვა გრძელდება — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. გულუამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. თიდუამ.

კუბა ემზადება იუბილესათვის

ჰავანა. 20 ივლისი. (საკდესი). ერთ კვირაზე ნაკლები დარჩა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულამდე — ეროვნული აჯანყების დღის იუბილემდე. ფ. კასტროს მეთაურობით რევოლუციონერთა ჯგუფის მიერ მონკადის იარაღის გმირული იერიშის 23 წლისთავს, რომელმაც დასაბამი მისცა ანტიხალხური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას, კუბელი ხალხი ენთუზიაზმის ვითარებაში ეგებება.

ქალაქ პინარ-დელ-რიოში, სადაც გაიმართება მთავარი ზეიმი, ჩავიდა მონკადის აყაზარმის შტურმის მონაწილეთა ჯგუფი. სპატიო სტუმრები გამოვლენ საზოგადოებრიობის, პარტიული და პროფკავშირული აქტივის წინაშე, გაეცნობიან მშრომელთა მიღწევებს.

კოლუმბიელი ხალხის დღესასწაული

ბოგოტა, 20 ივლისი. (საკდესი). კორ.). დღეს კოლუმბიელი ხალხი აღნიშნავს თავის ეროვნულ დღესასწაულს — დამოუკიდებლობის დღეს. 166 წლის წინათ კოლუმბიელმა ხალხმა იარაღით ხელში ჩამოიგდო ესპანელ კოლონიზატორთა უღელი და დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

მას შემდეგ განვლილი წლები აღინიშნა კოლუმბიის მშრომელთა მედგარი ბრძოლით თავიანთი უფლებებისათვის, ადგილობრივი და უცხოეთის კაპიტალის მიერ მათი ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

დღეს კოლუმბიის ხალხი განაგრძობს ამ ბრძოლას. იგი ცდილობს დაუბრუნოს ქვეყანას მისი ბუნებრივი სიმდიდრე, იბრძვის საკუთარი მრეწველობის შექმნისათვის, მრავალეროვანი მონოპოლიების ძალადობის წინააღმდეგ.

კონგრესმა მუშაობა განაახლა

ვაშინგტონი, 20 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების 200 წლისთავის დღესასწაულისა და დემოკრატიული პარტიის ეროვნული ყრილობის გამო გამოცხადებული ორკვირიანი არდადეგების შემდეგ მუშაობა განაახლა ამერიკის კონგრესმა.

ბევრი გადაუჭრელი პრობლემა დგას ახლანდელი სესიის დღის წესრიგში, რომელიც ოქტომბრის დამდეგს დამთავრდება. უკანასკნელი ოფიციალური მონაცემები მოწმობენ, რომ კვლავ მატულობს უმუშევრობა, რომელიც ახლა მუშახელის საერთო რიცხვის 7,5 პროცენტს შეადგენს, ისევ მწვავდება ინფლაცია. უკვე უახლოეს დღეებში კონგრესი განიხილავს ამ საკითხებს, მაგრამ ადგილობრივი მიმომხილველები არ მოელიან სერიოზულ შედეგებს ასეთი დისკუსიისაგან, რადგან ითვალისწინებენ, რომ მეტისმეტად რთული და ურთიერთდამოკიდებული ქვეყნის წინაშე მდგომი ეკონომიური პრობლემები.

სიძნელენი, რომლებსაც ამერიკის ეკონომიკა განიცდის, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია სამხედრო ხარჯების განუწყვეტელი ზრდით. მაგრამ კონგრესი, რომელსაც დემოკრატები უმრავლენ კონტროლს, და რომელიც ხშირად ებრძვა ხმაურიან ბრძოლაში რესპუბლიკურ ადმინისტრაციასთან მეორეხარისხოვანი პრობლემების გამო, პენტაგონის მოთხოვნების განხილვის დროს თითქმის უცვლელად „მწვანე ქუჩას“ უხსნით მათ.

კარლოვი ვარის კინოფესტივალზე

პრაღა. 20 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა კინემატოგრაფისტებმა კარლოვი ვარის ტრადიციული კინოფესტივალის საკონკურსო გასინჯვაზე აჩვენეს რეჟისორ გ. პანფილოვის ფილმი „სატყვის ვითხოვ“. ახალ ფილმს, რომელშიც ღრმა სოციალური და მორალური პრობლემებია წამოჭრილი, ინტერესით შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრობა და პრესა. კინოთეატრ „მოსკოვში“ ჩვენებას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ვ. ბილიაკი და კ. ჰოფმანი, ჩეხოსლოვაკიელი კინომოღვაწენი, ფესტივალის მრავალი სტუმარი.

დღეს საბჭოთა სომხეთში

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲩᲐᲠᲮᲘ

ჩარენცავანის ქარხანა შეუდგა ახალი ტიპის პროგრამულმართვიანი ჩარხის წარმოებას.

ათტონიანი ლითონდამამუშავებელი ქარხანა გათვალისწინებულია ავტომობილმშენებლობასა და ტრაქტორმშენებლობაში გამოსაყენებელი 200 გრამიდან 300 კილოგრამამდე დეტალების ვრცელი ზედაპირის რთული სიბრტყეების დასამუშავებლად. დამუშავების სიზუსტე მილიმეტრის ხუთ მეასედს აღწევს, ხოლო მეჩარხის შრომის ნაყოფიერება ექვსჯერ იზრდება. აგრეგატების პირველ პარტიებს გზავნიან ხარკოვის სატრაქტორო და მინსკის „ბელაზის“ საავტომობილო ქარხნებში.

„ᲨᲣᲥᲣᲠᲐ-2“

სწრაფად და ხარისხოვნად დაჭრის 3-დან 35 სანტიმეტრამდე სისქის ყოველგვარი მარკის ფურცლოვან ფოლადს აპარატი „შუქურა-2“. ახალი პროდუქციის საბრეწველო პარტია გადმოვიდა კიროვაკანის „ავტოგენმანქანის“ ქარხნის კონვეიერიდან. ადრე გამოშვებული ამგვარი ტიპის მოწყობილობისაგან განსხვავებით შემრევი კამერის შეცვლის გზით 1,5-ჯერ გახანგრძლივდა ნაწარმის გამძლეობა. „შუქურა-2“ მოსახერხებელია ექსპლოატაციის დროს. შომცრო გაბარიტების შემდეგ ელს საშუალებას აძლევს ადვილად გადატანოს იგი უბნებზე. აპარატს ფაქტობრივ გამოიყენებენ ქვეყნის მანქანათსაშენებელ საწარმოებში. პროდუქციის პირველი პარტიები გაიგზავნა ჩერეპოვეცის მეტალურგიულ კომბინატსა და ვოლგის ავტომქარხანაში.

წლის დასასრულამდე 80 ათასი ცალი „შუქურა“ დამზადდება.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲠᲐᲒᲘ

მეათე ხუთწლედში სამთამადნო კომბინატის ნაწარმის ნომენკლატურას კიდევ ოთხი სახის ნაწარმი დაემატება. გეოლოგებმა აქ არსებულ შაუმიანის მაღაროებში აღმოაჩინეს ტყვიის, თუთიის დიდი მარაგი, აგრეთვე ოქროსა და ვერცხლის კონცენტრატები. უკვე დაიწყო ორი ახალი შახტის გაყვანა ძვირფასი ლითონების ამოსაღებად. ახალი სახეობის პროდუქციის პირველი გამოშვება დაიწყება 1977 წელს. საწარმოს სიმძლავრე 30 პროცენტით გაიზრდება.

ᲡᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲢᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲪᲘᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲐ

იტალიაში სამი თვის „მოგზაურობის“ შემდეგ ერევანში დაბრუნეს მარტიროს სარიანის ორმოცდათი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი. ეს, ძირითადად, გამოჩენილი მხატვრის პეიზაჟები და ნატიურმორტებია.

სარიანის მუზეუმის ფონდებში ახლა სამი ათასამდე ნაწარმოებია, რომლებიც მისი შემოქმედების ყველა ეტაპს ასახავს.

ჩვენ ყოველ დონეს ვხმარობთ, რათა სამშობლოში რაც შეიძლება მეტი ნამუშევრები დავაბრუნოთ, — თქვა მუზეუმის დირექტორმა, ხელოვნებათმცოდნემ მაგენ ხაჩატურიანმა. — მარტო უკანასკნელ დროს აქ საზღვარგარეთიდან ოცდათამდე ტილო მივიღეთ. მათ შორის ყურადღებას იპყრობს „ძველი ერევნის კუთხე“ და „ტერპრეთი შესრულებული „ნატურმორტი“.

მარტიროს სარიანის დაბადების მე-100 წლისთავისათვის, რომელიც 1980 წელს სრულდება, მუზეუმის თანამშრომლები გამოსაცემად ამზადებენ მხატვრის ორტომიან ეპისტოლურ მემკვიდრეობას.

„ᲚᲐᲚᲕᲐᲠᲘ“ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ

სოფახეთის ერთ-ერთ თვალწარმტაც კუთხეში სტეფანავანში სტუმართმოყვარულად გაიღო ახალი ტურისტული კომპლექსის „ლალვარის“ კარი. კომპლექსს ერთდროულად შეუძლია მიიღოს 400 დამსვენებელი, რომელთა განკარგულებაშია სასტუმრო, რესტორნები, სათამაშო ოთახები, კინოდარბაზი, საცურაო აუზი.

კომუნისტი

1976 ოთხშაბათი 21 ივლისი № 169 (16599) ფასი 2 კაპ. 1976

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

რუსთაველელმა პატრიოტულმა თაოსნობამ დიდი შრომითი შემართება გამოიწვია თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივში. ფაბრიკის მშრომელებს კარგად ესმით, რომ მათი როგორც პირადი, ისე მთელი საწარმოს შრომითი მაჩვენებლები დიდად არის დამოკიდებული კოლექტივის თვითეული წევრის დისციპლინის შემდგომ ამაღლებასა და განმტკიცებაზე. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც თავის შრომითს დეგიზად რუსთაველთა თაოსნობა გაიხადა, არის მკერავი ეთერ ზინდრიშვილი. მისი საწარმოო შრომის სტაჟი სულ რაღაც ორიოდე წელია, მაგრამ გამრჯე და შრომისმოყვარე ახალგაზრდას ამან ხელი რიდი შეუშალა გავმარჯვა 1975 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მოწინავე მკერავი წლის დასაწყისიდანვე ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში. „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდათა ენთუზიაზმი და შემოქმედება“, — ამ დევიზით მრომობს მოწინავე მკერავი და საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებსაც აღწევს. რაც მთავარია, მის მიერ გამოშვებული მთელი პროდუქცია მხოლოდ მაღალი ხარისხისაა. მოწინავე მკერავის გადაწყვეტილებაა ხუთწლედი 3,5 წელიწადში დამთავროს.

სურათზე: სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის მოწინავე მკერავი, კომკავშირელი ე. ზინდრიშვილი.

ვ. ᲛᲝᲠᲒᲣᲜᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებს, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დაცვა თვითეული მარქსისტ - ლენინელის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიგვაჩნია.

ლ. ი. ბრეჟნევი

თეორიის საკითხები

პროლეტარული ინტერნაციონალიზმი გამარჯვების დროშაა

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საიუბილეო მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე და ყრილობის მასალებში შემდგომი ყოველმხრივი განვითარება ჰპოვა მოძღვრებამ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შესახებ. ყრილობაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია: „ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებს, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, — პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დაცვა თვითეული მარქსისტ-ლენინელის წმიდათაწმიდა მოვალეობაა მიგვაჩნია“.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის განუყოფელი ორგანული ნაწილია, იგი საერთაშორისო მუშათა კლასის, მსოფლიოს ყველა ერის მშრომელთა სოლიდარობის, ერთიანობისა და კომუნისტებისათვის ერთსულოვანი წარმატებათა ბრძოლის უმაღლესი პრინციპის გამოვლინებაა.

ინტერნაციონალიზმის იდეა ჩასისა და განვითარდა მარქსიზმის მოძღვრების წარმოშობა-განვითარებასთან ერთად. კაპიტალისტურმა წარმოებითმა და საზოგადოებრივმა ურთიერთობამ მოამზადა ობიექტური პირობები, რომლებიც ხელს უწყობდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების წარმოშობას. ამ იდეებმა ყველაზე კონცენტრირებული გამოხატულება ჰპოვა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ შექმნილ

მეცნიერული კომუნიზმის პირველ პროგრამულ შრომაში „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, რომელიც დიდებული საკაცობრიო მოწოდებით მთავრდება: **„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.** მანიფესტში ბრწყინვალედ არის გარკვეული პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული მისია და დამკვიდრებულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპი, რომელიც სრული მეცნიერული დამაჯერებლობით გვიცნობს, რომ „კაპიტალი საერთაშორისო ძალაა“ და მის დასამარცხებლად პროლეტარიატს ესაჭიროება სოლიდარობა და ინტერნაციონალური ერთიანობა.

იმპერიალიზმისა და სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში მთლიანად მარქსიზმმა და, კერძოდ, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებმა შემოქმედებითი განვითარება ჰპოვა ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების ნაშრომებში, კომუნისტური პარტიის კომრიელ და პრაქტიკულ საქმიანობაში.

„ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, გვასწავლის ვ. ი. ლენინი, — აი ორი ურთიერთისადმი შეურიგებელი მტრული ლოზუნგი, რომელნიც შეესაბამებიან მთელი კაპიტალისტური საყაროს ორ დიდ კლასობრივ ბანაკს და გამოხატავენ ორ პოლიტიკას (მეტიც ორ მსოფლმხედველობას) ნაციონალურ საკითხში“.

ლენინიზმის ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული დამსახურება კაცობრიობის წინაშე სწორედ ის არის, რომ მან მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების საფუძველზე შეიმუშავა ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ინტერნაციონალისტური პროგრამა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ლენინმა დაამუშავა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ახალი საკითხები: ინტერნაციონალურისა და ეროვნულის თანფარდობა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთიანობა, ინტერნაციონალური მოვალეობის კრიტერიუმი, საბჭოთა კავშირის ძმური კავშირი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის ბრძოლასთან და კოლონიალური ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასთან.

როგორც კომუნისტური იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილი — პროლეტარული ინტერნაციონალიზმი ვითარდება, მისი შინაარსი მდიდრდება მუშათა მოძრაობის განვითარებასთან ერთად. თანამედროვე ეპოქის დამახასიათებელია ის, რომ ერთიანან მსოფლიო რევოლუციურ პროცესში თავი მოიყარა განმათავისუფლებელი მოძრაობის ისეთმა მძლავრმა ნაკადებმა, როგორიც არის მსოფლიო სოციალისტური სისტემა, საერთაშორისო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

სკკპ და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი უკომპრომისო ბრძოლას ეწეოდა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც არღვევს მშრომელთა ინტერნაციონალურ სოლიდარობას და ამით ობიექტურად იმპერიალიზმის სამსახურში დგება.

ამასთან დაკავშირებით ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრილობაზე თქვა:

„საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს დროში პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს. ეს მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. სამწუხაროდ, ზოგი ვინმე ისეთნაირად განმარტავს მას, რომ ინტერნაციონალიზმისაგან ფაქტიურად ბევრი არაფერი რჩება. არიან ისეთი მოღვაწეენიც, რომლებიც აშკარადაც კი გვთავაზობენ ხელი ავიღოთ ინტერნაციონალიზმზე. მათი აზრით, თითქოს მოძველდა ის ინტერნაციონალიზმი, რომელიც დასაბამიდან და რომელსაც იცავდნენ მარქსი და ენგელი. ჩვენი თვალსაზრისით კი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უარყოფა ნიშნავს წავიბოძოთ კომპარტიის და საერთოდ მუშათა მოძრაობის მძლავრი და ნაკადი იარაღი“.

იმპერიალისტური რეაქციის აგენტები გაფფრენით ებრძვიან ინტერნაციონალიზმის იდეებს და სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ თავიანთი იდეოლოგიური დივერსიებისათვის მიმართავენ ანტისოვეტიზმს, ნაციონალიზმს, შოვინიზმს, კოსმოპოლიტიზმს.

ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის უპირველესი ამოცანაა თანმიმდევრული და შეუპოვი ბრძოლა გაჩაღოს ამგვარი დივერსიების წინააღმდეგ, ვინაიდან, როგორც პარტია გვასწავლის, ორი მსოფლმხედველობის ბრძოლაში არ შეიძლება იყოს ნეიტრალიზმი და კომპრომისები.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმი პრინციპულად უარყოფს და გმობს **კოსმოპოლიტიზმს,** რომელიც იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიური ნიღაბია სოციალიზმთან ბრძოლაში. მისი მიმდევრები მსოფლიო მოკალაქის ყალბი ლოზუნგით გამოდიან, უარყოფენ ეროვნულ სუვერენულ უფლებებს, იჩენენ ეროვნული მომენტის ნიჰილისტურ შეუფასებლობას და ანტიპატრიოტები არიან. კოსმოპოლიტური ილუზიებით იმპერიალისტები ცდილობენ მოახდინონ ადამიანთა დეზორიენტაცია, ხელი აიღებინონ ხალხებს ეროვნულ სუვერენიტეტზე, ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლაზე და ამით უზრუნველყონ თავიანთი ავანტიურა პრაქტიკა მსოფლიოში.

მარქსიზმ-ლენინიზმი თანმიმდევრულად იცავს ყველა ერის სუვერენულ უფლებებს და ეროვნული ნიჰილიზმის გადაჭრით წინააღმდეგია. მარქსისტები თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტები არიან.

ცნობილ სტატიაში — „ფელიეტონი რუსთა ეროვნული საამაყოს შესახებ“ — ლენინი აღნიშნავდა, რომ ნამდვილი პატრიოტი ის არის, ვინც ნამდვილად იღვწის თავისი სამშობლოს რევოლუციური განახლებისათვის, სოციალიზმისათვის.

ინტერნაციონალიზმთან სრულ ჰარმონიაშია **პატრიოტიზმი.** პატრიოტიზმი — სამშობლოს სიყვარული, დედაენისა და კულტურის ტრფიალი, ისეთივე ბუნებრივი ყოველი ნორმალური ადამიანისათვის, როგორც შშობლისათვის შვილის, ხოლო შვილისათვის შშობლების სიყვარული. პატრიოტიზმი ეროვნული თვითშეგნების უმაღლესი გამოხატულებაა. იგი ადამიანის ღირსებისა და კეთილშობილების ეშშარიტი გამოვლენაა. ამით არის პატრიოტიზმი დაალექტიკურ კავშირში ინტერნაციონალიზმთან, რომელიც ასევე ადამიანის ღირსებისა და კეთილშობილების უმაღლეს კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ.

როგორც პატრიოტიზმი, ისე ინტერნაციონალიზმი მოითხოვს ყველა ერის პატივისცემას, ეროვნული სუვერენიტეტის დაცვას, ორივე ისინი ეროვნული და რასობრივი დისკრიმინაციის, შოვინიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ანტიპოდებია, მტრებია. თუ შენი ხალხი არ გიყვარს მთელი არსებით, სხვა ხალხს და მსოფლიოს ვერ შეიყვარებ.

ამიტომ ინტერნაციონალისტი ის შეიძლება იყოს, ვინც თავისი ქვეყნის პატრიოტია. ასევე, ნამდვილი **ინტერნაციონალისტი** ის შეიძლება იყოს, ვინც მშრომელთა საერთო ინტერესებთან ერთად კარგად ითვალისწინებს ცალკე ქვეყნებისა და ერების სპეციფიკურ ეროვნულ ინტერესებსაც.

ამრიგად, ჩვენი სამშობლოს ხალხთა ინტერნაციონალური და პატრიოტული მსწრაფვანი განუყოფელია. ამასთან ყველამ კარგად უნდა გითვალისწინოს, რომ პატრიოტი ის როდია, ვინც წამდაუწუმ მხოლოდ პატრიოტულ ფრაზებს აფრქვევს.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების დიად ამოცანებს მიეძღვნა, კარგად იყო განსაზღვრული კრიტერიუმი თუ რას ნიშნავს იყო კარგი ინტერნაციონალისტი და ნამდვილი პატრიოტი.

ეს, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ აქტიურად მონაწილეობდე ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეათე ხუთწლედის ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის დიად მიზანდასახულებათა წარმატებით განხორციელებისათვის და მთელ ძალღონეს ახმარდე სოციალისტური სამშობლოს მატერიალური დოვლათის გადიდებისა და სულიერი კულტურის შემდგომი ამაღლების კეთილშობილურ საქმეს.

ამ კრებაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი, სამართლიანად აღინიშნა: **„თუ ნამდვილად გიყვარს შენი რესპუბლიკა, სახელი გაუთქვი მას ისეთი საქმეებითა და ქმნილებებით, რომლებიც ღირსია მთელი საბჭოთა ხალხის საგანძურის ნამდვილი მშვენება გახდეს“.**

ჩვენს უკიდეგანო საბჭოთა სამშობლოში ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ყველა ფენა მოიცავს, წარმოადგენს პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ჩინებული სკოლა.

ნამდვილი პატრიოტი და ინტერნაციონალისტი ის არის, ვინც აქტიურად მონაწილეობს უკანასკნელი წლების მანძილზე ანტალიზოგადოებრივი, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ რესპუბლიკაში გაჩაღებულ უკომპრომისო ბრძოლაში. ისიც უნდა ითქვას, რომ ნეგატიური მოვლენები ჩვენი ცხოვრების იდეოლოგიურ სფეროსაც შეეხო. იმ სფეროს, საიდაც, ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, სრულიად დაუშვებელია „ნეიტრალიზმი და კომპრომისები“. ამის შესახებ ხომ საფუძვლიანი მსჯელობა გაიმართა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე.

საქართველოს კომპარტიის მიერ განხორციელებულ მეტად მნიშვნელოვან ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მოღვაწეობას, რომელიც მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის და ინტელიგენციის ნამდვილად თავდადებულ შრომას დიდი შეფასება ძალეა პარტიის ლენინური ორგანიზაციისა, ცენტრალურმა კომიტეტმა, სრულიად განიხილა საკრებო „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

ეს ჭეშმარიტად ისტორიული ხასიათის დოკუმენტი, რომელიც საქართველოს კომპარტიის საქმიანობის ზუსტ ორიენტირს წარმოადგენს, მოიცავს რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროს, მასში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პარტიის იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეობას, რომელმაც „განსაკუთრებული გაქანება და სიღრმე შეიძინა სკკპ XXV ყრილობის შემდეგ“. დადგენილებაში კანონზომიერად არის მითითებული, რომ „მომავალშიც საჭიროა აქტიური ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის შემოჭრის წინააღმდეგ, კერძო-მესაკუთრული ტენდენციებისა და ადათ-მიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის სხვა გადმონაშთების წინააღმდეგ“.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები კარგად ითვალისწინებენ იმ ეშშარიტებას, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის გრანდიოზული მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოღვაწეობა სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში მოპოვებულია სკკპ ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით.

ამ ნაკადი დროშით განაგრძობს იგი ბრძოლას სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ლ. ებანოიძე,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

---

20 ივლისი

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკვანძო და უცხოეთის პრესის საგაზეთოები იტყობინებიან

სპინოლას ეპატიჟებიან?

ლისაბონი. (საკვანძო). უკანასკნელ ხანს პორტუგალიის პრესაში და სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეთა განცხადებებში სულ უფრო ხშირად ისმება კითხვა, შეაძლებელია თუ არა დაბრუნდეს სამშობლოში რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი სპინოლა, რომელიც ემიგრანტადაა ბრაზილიაში მას შემდეგ, რაც 1975 წლის 11 მარტს მარცხით დამთავრდა მთავრობის საწინააღმდეგო გადატრიალების ცდა. მაგალითად, პორტუგალიის პრეზიდენტმა რომალიუ ეანეშმა 27 ივნისის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ „სპინოლას შეუძლია დაბრუნდეს პორტუგალიაში, როცა მოისურვებს, მაგრამ, მოქმედი კანონების შესაბამისად, სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს და პასუხი აგოს თავისი ნამოქმედარისათვის“.

სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა მარიუ სოარეშმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ პორტუგალიის ახალ პრემიერ-მინისტრად დანიშნა, გაზეთ „დიასათვის“ მიცემულ ინტერვიუში ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ სპინოლას შეუძლია დაბრუნდეს ქვეყანაში.

პორტუგალიის მემარცხენე პრესის აზრით, მ. სოარეშის ეს განცხადება ნიშნავს სპინოლას მოპატიჟებას პორტუგალიაში, და ამისათვის აკრიტიკებს განცხადებას, მემარჯვენე გაზეთები კი ცდილობენ შეამზადონ პორტუგალიის საზოგადოებრივი აზრი სპინოლას დაბრუნებისათვის.

ლეიბორისტების პოზიცია

ლონდონი. (საკვანძო). აქ გამოქვეყნდა ინგლისის ლეიბორისტული პარტიის 75-ე ყოველწლიური კონფერენციის რეზოლუციის პროექტები. ეს კონფერენცია მომდინარე წლის შემოდგომაზე გაიმართება ბლეკპულში.

პროექტები, რომლებიც პარტიის ადგილობრივმა განყოფილებებმა და პროფკავშირებმა წამოაყენეს, ასახავენ პარტიისა და პროფკავშირების რიგითი წევრების ფართო წრეების შეშფოთებას იმის გამო, რომ ინგლისში ღრმა ეკონომიური კრიზისი გრძელდება. ბევრ პროექტში გაკრიტიკებულია მთავრობის პოლიტიკა ეკონომიკის დარგში.

ამერიკის ინტერესები

ხუნტის მხეცობის წინააღმდეგ

მეხიკო. (საკვანძო). მექსიკის დედაქალაქში მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიამ. მისი წევრები აგროვებენ მოწმეთა ჩვენებებს პინოჩეტის რეჟიმის მიერ ჩილეში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ.

ეხებიკოში მუშაობის დამთავრების შემდეგ, კომისიის წევრები ეწვევიან კონტინენტის სხვა ქვეყნებს და შეგროვილი მასალების საფუძველზე მოხსენებას წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. კომისიის ამოცანას შეადგენს აგრეთვე ჩილეში ჩასვლა და საკონცენტრაციო ბანაკებში პოლიტპატიმართა მდგომარეობის გაოკვლევა.

ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში ემბება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრიობის

მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიამ

□

ეს. კომისიის ამოცანას შეადგენს ჩილეში ჩასვლა და საკონცენტრაციო ბანაკებში პოლიტპატიმართა მდგომარეობის გაოკვლევა.

ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში ემბება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრიობის ტრადიციული კომიტეტი უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღოს ამ საქმეში. ამ უკანასკნელ წლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემოვიდა 65 ათასამდე განცხადება ადამიანის უფლებათა დარღვევის აღმაშფოთებელი ფაქტების შესახებ. ამ განცხადებებში გადაჭრით გმობენ ჩილეს სამხედრო-ფაშისტური ხუნტის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის დანაშაულობებს, აგრეთვე ისრაელის მხედრიონის დანაშაულობებს უკანონოდ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე.

ბრიუსელში თათბირობენ

ბრიუსელი. (საკვანძო). ევროპის გაერთიანებათა მინისტრების საბჭოს მორიგ სესიაზე ბრიუსელში შეიკრიბნენ „ცხრეულის“ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები. ისინი განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ევრეთ წოდებული „ევროპის კავშირის“ შექმნა, ევროპის ეკონომიური გაერთიანების ურთიერთობა საბერძნეთთან და თურქეთთან, აგრეთვე პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ევრეთ წოდებული ევროპის პარლამენტის უშუალო არჩევნებთან. „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ამასწინანდელი შეხვედრის მონაწილენი შეთანხმდნენ მხოლოდ ამ ორგანოში ადგილების განაწილების შესახებ. არჩევნებამდე, რომლიც გათვალისწინებულია 1978 წელს, უნდა გადაწყვეტონ ბევრი

ევროპის გაერთიანებათა მინისტრების საბჭოს სესიაზე

□
